



სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი
ურთიერთობების ცენტრი

CCIIR

Center for Civil Integration and Inter-ethnic Relations

წლიური ანგარიში 2015



თბილისი, მცხეთის ქ. 8/90



+99532 2922595



info@cciir.ge



www.cciir.ge

„სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“ CCIIR წარმოადგენს არასამთავრობო (NGO) ანალიტიკურ/კვლევით ორგანიზაციას, რომელიც 2005 წლიდან ახორციელებს სხვადასხვა პროექტს განათლების მიმართულებით, შეისწავლის განათლების სისტემაში/სფეროში არსებულ პრობლემებსა და შეიმუშავებს რეკომენდაციებს განათლების პოლიტიკის გასაუმჯობესებლად. ორგანიზაცია ხელს უწყობს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესს საქართველოში, მათში სახელმწიფო ენის განვითარებასა და მათ ჩართულობას/მონაწილეობას სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

განათლების პოლიტიკის შესწავლა და ანალიზი

პროექტები მულტილინგვური/მულტიკულტურული განათლების მიმართულებით

წიგნიერება და ორენოვანი წიგნიერება

ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება

მასწავლებელთა პროფესიული განვითარება

ზრდასრულთა განათლება

პუბლიკაციების გამოცემა

პროექტები



➤ „ინოვაციური მოქმედება გენდერული თანასწორობისათვის“

➤ "მულტიკულტურული განათლების ასახვა მასწავლებელთა განათლების პროგრამებში"

➤ „მულტიკულტურული განათლებისა და მრავალფეროვნების სწავლების საერთაშორისო კურსკულის შექმნა" (DOIT)



➤ სხვა აქტივობები

➤ მიმდინარე სამუშაო და სამომავლო გეგმები

პროექტის სათაური: “ინოვაციური მოქმედება გენდერული თანასწორობისათვის”
დონორი: გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women); ევროკავშირი (EU)
ლოკაცია: ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი
თარიღი: 2014/15

მიზანი

მასწავლებელთა გაძლიერება და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა მათი პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის პროცესში ჩართვის გზით.

ამოცანები

- უმცირესობის სკოლებში მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლება მიმდინარე რეფორმის შესახებ.
- არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეთათვის განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა მასწავლებელთა შესაბამისი პროფესიული ცოდნით აღჭურვის გზით.
- პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მასწავლებელთა პროფესიული მომზადებისა და კარიერული ზრდის კუთხით არსებული პოლიტიკის ხელშესაწყობად.

აქტივობები & მიღწევები

- ✓ არაქართულენოვანი მასწავლებლებისთვის და ადგილობრივი სკოლების წარმომადგენელთათვის მომზადდა ბილინგვური საინფორმაციო მასალები მიმდინარე განათლების რეფორმის შესახებ, რომელიც მასწავლებელთა ახალი სტანდარტის და პროფესიული განვითარების ახალი სქემის შემოღებას გულისხმობს. მისი მიზანია შემოიტანოს სკოლებში მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის შეფასების სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, მასწავლებლის კომპეტენციის ამაღლებას, მის პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ ზრდას.

სტანდარტი ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე და დაურიგდათ მასწავლებლებს საინფორმაციო შეხვედრების დროს.

საინფორმაციო ბროშურები შეიცავს ამომწურავ ინფორმაციას მასწავლებელთა კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე და ყველა მნიშვნელოვან შეკითხვას სცემს პასუხს.

- ✓ ახალი სტანდარტის გასაცნობად და მოსალოდნელი შედეგების შესახებ ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ეთნიკური უმცირესობის სკოლებში. ყველა შეხვედრაში CCIIR - ის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდნენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებიც. შეხვედრებზე მასწავლებლებს მიეცათ მსჯელობისა და დისკუსიის შესაძლებლობა იმ გამოწვევებზე, რომლებიც მათ პროფესიულ განვითარებას უკავშირდება.

შეხვედრების ვიდეო-კოლაჟი

<https://www.dropbox.com/s/8gseti0erbxy7ve/video-collage.wmv?dl=0>



- ✓ ჩატარდა გენდერული ტრენინგი, რომლის მიზანიც იყო განათლების ეროვნული და რეგიონული დონის პრაქტიკოსების გენდერული ცნობიერებისა და მგრძნობელობის გაზრდა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ტრენინგის მონაწილეების მიერ განათლების პროცესში არსებული გენდერული უთანასწორობის გააზრებას და ახალი საგანმანათლებლო სტრატეგიების შემუშავებას სასწავლო პროცესში გენდერული მიდგომების დანერგვისა და გენდერულად კორექტული სასკოლო გარემოს მისაღწევად. გენდერულ ტრენინგებში სულ 232 - მა მასწავლებელმა მიიღო მონაწილეობა ქვემო ქართლისა და სამცხე ჯავახეთის რეგიონების ყველა არაქართულენოვანი სკოლიდან.



ტრენინგ-მოდულის აღწერა

http://cciir.ge/upload/editor/file/jurnali%20%20bilingvuri%20/training%20materials/joined_document_2.pdf

- ✓ პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება და გამოცემა. იგი ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონულად ისე ბეჭდურად. ორგანიზაციის მიერ გამოცემული პოლიტიკის დოკუმენტი წარმოდგენს საქართველოში არსებული არაქართულენოვანი სკოლებისა და იქ დასაქმებული მასწავლებლების მდგომარეობის ანალიზს, ქვეყანაში განხორციელებული ინტერვენციების მიმოხილვას როგორც ზოგადად მასწავლებლების, ასევე არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების კუთხით, არსებული პრობლემების განხილვასა და რეკომენდაციებს არსებული პოლიტიკის გაუმჯობესებისთვის არაქართულენოვან სკოლებში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების თანაბარი პირობების შექმნის უზრუნველსაყოფად.

პოლიტიკის დოკუმენტის ელ-ვერსია

<http://cciir.ge/upload/editor/file/jurnali%20%20bilingvuri%20/axali%20dokumenti.pdf>

- ✓ შედეგების კომუნიკაცია.
- გაიმართა პროექტის ანგარიშისა და შედეგების პრეზენტაცია, სადაც ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ისაუბრეს თუ რა სიტუაციაა საქართველოში გენდერული თანასწორობის კუთხით და შეაფასეს განათლების პოლიტიკა გენდერული პერსპექტივიდან. ღონისძიებაზე ასევე გაიმართა პოლიტიკის დოკუმენტის პრეზენტაცია, რომელიც პროექტის ფარგლებში ორგანიზაციამ გამოსცა. პრეზენტაციას დაესწრნენ გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები, გენდერის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები და ექსპერტები



მედია გაშუქება

<http://www.radiotavisupleba.ge/media/video/gender-stories-10-09-2015/27237523.html>

<http://www.radiotavisupleba.ge/media/video/genderuli-ambebi/27112380.html>

პროექტის სათაური: "მულტიკულტურული განათლების ასახვა მასწავლებელთა განათლების პროგრამებში"

დონორი: ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო"

ლოკაცია: ქუთაისის , ბათუმისა და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტები

თარიღი: 2015 (ერთი წლის განმავლობაში)

მიზანი

პროექტის სამიზნე 3 უმაღლეს სასწავლებელში (ქუთაისი, ბათუმი და გორი) მომავალი მასწავლებლების მომზადება მაღალი მულტიკულტურული მგრძნობელობითა და მრავალფეროვანი კლასის მართვისა და სწავლების უნარებით მასწავლებელთა განათლების პროგრამების გაუმჯობესების გზით.

ამოცანები

- მასწავლებელთა განათლების პროგრამებში ინტერკულტურული ასპექტების ასახვა;
- სტუდენტებში მულტიკულტურული მგრძნობელობის და ტოლერანტობის განვითარება, პროფესორ-მასწავლებლების გადამზადების გზით ინტერკულტურული სასწავლო გეგმის შედგენისა და მისი იმპლემენტაციის საკითხებზე;
- მულტიკულტურული განათლების კუროსის/ მოდულის შექმნა მასწავლებელთა განათლების პროგრამებისთვის სამ უმაღლეს სასწავლებელში;
- საქართველოს სამ უმაღლეს სასწავლებელში ტოლერანტობის და ურთიერთპატივისცემის გარემოს შექმნა ინტერკულტურული ღონისძიებების ორგანიზების გზით;

მასწავლებელთა განათლების პროგრამებზე სტუდენტთა დიდი რაოდენობით ბათუმისა და ქუთაისის უნივერსიტეტები გამოირჩევა და სწორედ ამ უნივერსიტეტებში სწავლობენ მიზნობრივი ჯგუფები ყველაზე დიდი რაოდენობით. ამასთანავე, კვლევამ აჩვენა, რომ ინტერკულტურული მგრძნობელობა ყველაზე დაბალი სწორედ გორის, ქუთაისისა და ბათუმის უნივერსიტეტების სტუდენტებს გააჩნიათ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ უნივერსიტეტების მხარდაჭერა, რათა მათს მასწავლებელთა განათლების პროგრამებში ასახული იყოს მულტიკულტურული განათლების ასპექტები და ისინი უზრუნველყოფდნენ მასწავლებლის სტანდარტით გათვალისწინებული მულტიკულტურული კომპეტენციების განვითარებას საკუთარი სტუდენტებისათვის.

ვორქშოფები

პროექტის სამიზნე თითოეულ უნივერსიტეტში ჩატარდა სამუშაო შეხვედრები/სემინარები მასწავლებელთა განათლების პროგრამების წარმომადგენლებთან - ლექტორებსა და ხარისხის მართვის სამსახურების წარმომადგენლებთან. შეხვედრებზე განხილული ძირითადი საკითხები იყო:

მულტიკულტურული განათლების ასახვის ინსტრუმენტები მასწავლებელთა განათლების პროგრამებში, როგორ შევადგინოთ კულტურულად რელევანტური სასწავლო სილაბუსები და სასწავლო რესურსები.



ინტერკულტურული ღონისძიებები

პროექტის ფარგლებში სულ ჩატარდა 6 ინტერკულტურული ღონისძიება უნივერსიტეტებში მულტიკულტურულად სენსიტიური გარემოს შესაქმნელად და ტოლერანტობის მხარდასაჭერად:

1. ფილოლოგიისა და პარლამენტარის ლევან ბერძენიშვილის ღია ლექცია თემაზე “დემოკრატიული ღირებულებები ქართულ კულტურაში”; ჩატარების ადგილი: ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
2. ღონისძიება „ერთიანობა მრავალფეროვნებაში“, სადაც ქართველმა, თურქმა, სომეხმა, რუსმა და აზერბაიჯანელმა სტუდენტებმა საკუთარი ქვეყნების კულტურა და მულტიკულტურული მახასიათებლები წარმოადგინეს სხვადასხვა შემოქმედებით ნომერთან ერთად. ჩატარების ადგილი: ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

3. გაცვლითი კულტურული ტურები: მარნეულის N2 საჯარო, ამავე მუნიციპალიტეტის ორი აზერბაიჯანული (ჯანდარის, კაჩაგანის) და შულავერის N1 სომხური სკოლების მოსწავლეები და პედაგოგები გორის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვივნენ. გაცვლითი კულტურული ტურების მიზანი იყო არაქართულენოვანი მოსახლეობის ინტეგრაცია ეთნიკურად და კულტურულად განსხვავებულ გარემოში, ურთიერთპატივისცემის, თანამშრომლობისა და სამოქალაქო საზოგადოებაში ჩართულობის ხარისხის ამაღლება.



4. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ-მასწავლებელთა საპასუხო ვიზიტი მარნეულის რაიონის კაჩაგანის N1 საჯარო სკოლაში.

5. გამოცდილების გაზიარება და უნივერსიტეტებს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერება: თსუ ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სტუდენტებმა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა სწავლების სპეციფიკა და მეთოდოლოგია გაუზიარეს ქუთაისის უნივერსიტეტის პედაგოგიკის ფაკულტეტის ლექტორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს - მომავალ მასწავლებლებს, რომელთაც უთუოდ მოუწევთ მულტიკულტურულ გარემოში, არაერთგვაროვან სამიზნე ჯგუფებთან მუშაობა. ჩატარების ადგილი: ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.



6. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, „ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციის“ წევრის, დოქტორის ოლივერ რაისნერის საჯარო ლექცია თემაზე „ევროპული გამოცდილება ინტერკულტურულ განათლებაში“. ჩატარების ადგილი: ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.



პროექტის სათაური: "მულტიკულტურული განათლებისა და მრავალფეროვნების სწავლების საერთაშორისო კურსკულოუმის შექმნა" (DOIT)

დონორი: ევროკავშირის ტემპუსის პროგრამა

ლოკაცია: ილია უნი, თსუ, სოხუმის, თელავისა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტები

თარიღი: 2014/15

DOIT–ის შესახებ

DOIT–ი კურიკულუმის რეფორმის ერთობლივი პროგრამაა, რომელიც შვიდი ქვეყნის 21 ინსტიტუტს აერთიანებს. მისი მიზანია მულტიკულტურული განათლების, მრავალფეროვნებისა და ბავშვთა უფლებების ხელშეწყობა ისრაელისა და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ის მრავალმხრივი პროგრამაა, რომელიც კონსორციუმის მიერ ახალი ინოვაციური კურსების შექმნით, პილოტირებითა და ინტეგრაციით პროგრამაში მონაწილე ისრაელისა და საქართველოს უნივერსიტეტებისა და კოლეჯების კურიკულუმებში ასახავს მრავალფეროვნებასა და ბავშვთა უფლებებს. DOIT–ის პროგრამა მოიცავს ინტერკულტურული ურთიერთობების განვითარების კლასგარეშე აქტივობებს სტუდენტებისთვისაც.

TEMPUS - ის შესახებ

TEMPUS–ი ევროპის კომისიის პროგრამაა, რომელიც მხარს უჭერს უმაღლესი განათლების მოდერნიზაციას ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებში აღმოსავლეთ ევროპაში, ცენტრალურ აზიაში, დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებსა და ხმელთაშუა ზღვის რეგიონში. მისი მიზანია ხელი შეუწყოს პარტნიორი ქვეყნებისა და ევროკავშირის ქვეყნების აკადემიური პერსონალის თანამშრომლობას. გარდა ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობისა, TEMPUS–ი ხელს უწყობს ინდივიდების თანამშრომლობასაც. TEMPUS–ი, ძირითადად, მხარდაჭერით უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების ინსტიტუტებს, რომლებიც კონსორციუმს ქმნიან. ეს უკანასკნელი ევროკომისიის მიერ კონკრეტული რეგიონისთვის (რეგიონებისთვის) განსაზღვრულ პრიორიტეტულ პროგრამებს შეიმუშავებს და ახორციელებს (<http://eacea.ec.europa.eu/tempus/>).

კონსორციუმი



ისრაელი და ევროპელი პარტნიორები:

- გორდონის განათლების აკადემიური კოლეჯი
- სახნინის აკადემიური კოლეჯი
- კაიის აკადემიური კოლეჯი
- ჰერცლიის ინტერდისციპლინური ცენტრი
- საფირის აკადემიური კოლეჯი
- ნეგავის ბენ-გურიონის უნივერსიტეტი
- ჰერცლიის ინტერდისციპლინური ცენტრის სტუდენტური კავშირი
- კობლენც-ლანდაუს უნივერსიტეტი
- ლონდონის ბრაიტონის უნივერსიტეტი
- ლონდონის უნივერსიტეტის განათლების ინსტიტუტი
- ზემო ავსტრიის საგანმანათლებლო უნივერსიტეტი
- ჰანის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი
- იან ტონისონის ინსტიტუტი
- კონფესიათაშორისი დიალოგის ასოციაცია

ქართველი პარტნიორები:

- სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი
- სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ცენტრი
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
- თსუ
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOIT-ის სტუდენტთა გუნდები: ისრაელი: გორდონის განათლების აკადემიური კოლეჯის სტუდენტები, სახნინის აკადემიური კოლეჯის სტუდენტები და ჰერცლიის ინტერდისციპლინური ცენტრის სტუდენტური კავშირი.

საქართველო: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები.

აქტივობები & მიღწევები

- ✓ პროექტის სამიზნე 5 უმაღლეს სასწავლებელში, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურზე მყოფი სტუდენტებისა და მოქმედი ლექტორებისთვის შეიქმნა ახალი კურსები, სამიზნე რეგიონების კულტურული სპეციფიკის გათვალისწინებით, რომლებიც მხარს უჭერენ მულტიკულტურულ განათლებასა და ადამიანის უფლებებს. თითოეული კურსი მოიცავს შესაბამის სილაბუსებს, სასწავლო მასალებს, გაკვეთილის გეგმას და სხვა. ძირითადი კურსები რომლებიც დაინერგა არის: სასწავლო კურსი ბავშვთა უფლებების შესახებ; პედაგოგიური მიდგომები კლასში ინტერკულტურული გარემოს შექმნელად; იდენტობის ფორმირება მულტიკულტურულ გარემოში;
- ✓ ჩატარდა ფაკულტეტის წარმომადგენლების ვორქშოფები. უნივერსიტეტების აკადემიურ პერსონალთან CCIIR - მა ჩატარა ტრენინგები ახლადშექმნილი კურსების /კურიკულუმის განხორციელებასთან დაკავშირებით. მათთვის შემუშავდა დამატებითი სასწავლო სახელმძღვანელოებიც.



- ✓ ჩატარდა გარე საუნივერსიტეტო ღონისძიებები სტუდენტებისთვის ინტერკულტურული ურთიერთობების მხარდასაჭერად. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრმა სტუდენტთა გუნდებთან ერთად შეიმუშავა აქტივობების ციკლი მათი სოციალური ჩართულობის, ინტერკულტურულ ღონისძიებებში მათი მონაწილეობის გაზრდისთვის. ძირითადად შეთავაზებული სტუდენტური აქტივობები საუნივერსიტეტო დონეზე მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს: სადისკუსიო ვიდეო- ჩვენება, დისკუსია/ მოწვეული სტუმარი, ლექცია/ დისკუსია, საინტერესო ფილმების კინოჩვენება, ექსკურსიების ციკლი, სტუდენტური კლუბის შექმნის ინიცირება, ესეების კონკურსი და სხვა. ე.წ. კლასგარეშე აქტივობებმა განამტკიცა მულტიკულტურალიზმთან, მრავალფეროვნებასა და ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებული ის ცოდნა, ფასეულობები და ქცევა, რასაც საფუძველი პროგრამის ფარგლებში შექმნილმა კურსებმა ჩაუყარა.
- ✓ პროექტის ცნობადობისა და კონსორციუმის წევრების ერთობლივი მუშაობისთვის შეიქმნა ვებ- პორტალი <http://tempus-doit.sapir.ac.il>

სხვა აქტივობები

[ცენტრის შემდეგი აქტივობები განხორციელდა პროექტის “ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის”[PITA] ფარგლებში. პროგრამა ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით]

2015-16 წლის ახალი სასწავლო წელი საქართველოში დაიწყო 14 სექტემბერს. ამ დღისათვის სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრმა ჩაატარა საორიენტაციო შეხვედრები თსუ-ს ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტებთან. საორიენტაციო შეხვედრებს 250 აზერბაიჯანელი და სომეხი ეროვნების სტუდენტი დაესწრო, რომელთაც ქართული ენის მოსამზადებელ პროგრამაზე კვოტირების სისტემის ფარგლებში ჩააბარეს. შეხვედრაზე სტუდენტები გაეცნენ პროექტის არსს, მიზნებსა და აქტივობებს, რომლებიც დაგეგმილია პროექტის ფარგლებში. მათ ასევე დაურიგდათ გზამკვლევი, რომელიც მოიცავს მათთვის სასარგებლო და საჭირო ყველა ინფორმაციას როგორც აკადემიურ მოთხოვნებზე, ასევე სასწავლო პროცესზე, საუნივერსიტეტო ცხოვრებაზე, ყველა იმ შემთავაზებასა და შესაძლებლობებზე, რომელსაც თსუ სთავაზობს სტუდენტებს. გზამკვლევი მოამზადა და დაბეჭდა „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრმა“ და ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე .



- ✓ ქართული ენის ერთწლიანი პროგრამისათვის შეიქმნა მუდლის პლატფორმა, რომლის მიზანია საგანმანათლებლო რესურსების ურთიერთგაზიარება პროგრამის თანამშრომლებსა და უნივერსიტეტების აკადემიურ პერსონალს შორის. ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის მუდლის პლატფორმა ეფუძნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე არსებული მუდლის პლატფორმას. გარდა მუდლის პლატფორმისა ქართული ენის ერთწლიანი პროგრამისათვის შეიქმნა ვებგვერდი, რომელიც ასევე ინტეგრირებულია თსუ-ს დომეინზე.
- ✓ ქართულ ენაში მოსამზადებელ ერთწლიან პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა დამოკიდებულებების შესწავლისათვის პროგრამის (2016) ეფექტურობის კუთხით განხორციელდა შემდეგი აქტივობები: ა) საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მეორადი მონაცემების მიღება; ბ) მეორადი მონაცემების სტატისტიკური ანალიზი; გ) კვლევაში მონაწილეთა შერჩევისათვის მონაცემთა ბაზის შექმნა; დ) კითხვარების პილოტირება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. შემდგომი აქტივობები კვლევის მიმართულებით დაგეგმილია პროექტის მომდევნო საანგარიშო პერიოდისათვის.
- ✓ განათლების ექსპერტთა ჯგუფმა დაიწყო მუშაობა სტუდენტების აკადემიური და სოციალური მხარდაჭერისათვის მიმართულ სტრატეგიულ დოკუმენტსა და სამოქმედო გეგმაზე. დოკუმენტი ასევე გულისხმობს სტუდენტებისათვის ინკუბირების გარემოს შექმნასა და სტუდენტების ინტერაქციას ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან. სტრატეგიის დოკუმენტის სამუშაო ვერსია დასრულებული იქნება პროექტის შემდგომი ფაზისათვის.
- ✓ შეიქმნა თსუ ახალგაზრდული ცენტრის წევრთა საერთო ბაზა და ჩამოყალიბდა თემატური ქვე-კლუბები (განათლების, ადამიანის უფლებების დაცვის, გენდერის, მრავალფეროვნების, ადვოკატირების, ტოლერანტობის, გარემოს დაცვის, ჯანსაღი ცხოვრების წესის ქვე-კლუბები). თითოეული ქვე-კლუბი ანუ თემატური ჯგუფი შესაბამისი მიმართულებით იმუშავებს.

თსუ ახალგაზრდული ცენტრის ღონისძიებები

ახალგაზრდული კომპონენტი

[ღონისძიებები ჩატარდა “ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის” [PITA] ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს საქართველოს გაეროს ასოციაცია (UNAG) , აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს [USAID] ფინანსური მხარდაჭერით. პროგრამის პარტნიორი ორგანიზაციები არიან სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომლებიც თსუ ახალგაზრდული ცენტრის ფუნქციონირებას უზრუნველყოფენ]

- 1) თსუ ახალგაზრდული ცენტრი გაიხსნა 2 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-7 კორპუსი. ახალგაზრდული ცენტრი თსუ - ში ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის ბაზაზე შეიქმნა და ის ორიენტირებული იქნება ახალგაზრდების საჭიროებებზე, სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნებასა და სტუდენტთა სამოქალაქო ჩართულობისა და ინტეგრაციის ხარისხის გაზრდაზე. გახსნას დაესწრნენ დონორი ორგანიზაციებისა და განათლების სამინისტროს წარმომადგენლები, სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, სახალხო დამცველის ოფისისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, თსუ -ს რექტორი, სტუდენტები, აკადემიური პერსონალი და სხვები.

ცენტრის საქმიანობა მრავალფეროვანი იქნება. ის ითვალისწინებს მრავალი სხვადასხვა ტიპის აქტივობის განხორციელებას, მათ შორის: თემატური ჯგუფების ჩამოყალიბებას (ცენტრის წევრ-სტუდენტებს საშუალება ეძლევათ თავიანთი ინიციატივები და იდეები განახორციელონ), ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ტრენინგებისა და სადისკუსიო შეხვედრების ორგანიზებას. ცენტრი თავის წევრებს დახმარებას გაუწევს ფონდების მოძიებაში, მოამზადებს მათ, რათა მონაწილეობა მიიღონ საგრანტო კონკურსებში. ცენტრისათვის მნიშვნელოვანი საკითხია ასევე, სტუდენტთა დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესება.



- 2) თსუ ახალგაზრდული ცენტრის წევრების შეხვედრა საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) წარმომადგენელ ანნა ბუიანოვასთან. შეხვედრა იყო გაცნობითი/საინფორმაციო ხასიათის, ბუიანოვამ ცენტრის წევრებს გააცნო “ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამა” (PITA) და ისაუბრა პროგრამის ახალგაზრდულ კომპონენტზე. შეხვედრა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში და გაიმართა დისკუსია პროგრამაში ჩართულ მონაწილეთა შორის.
- 3) ტუტორიუმის პროგრამის გაცნობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში-შეხვედრა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან. ილიას უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული თბილისის ახალგაზრდული ცენტრის კოორდინატორმა, ივლიტა ლობჯანიძემ, თსუ ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენლებს გააცნო ილიას უნივერსიტეტში მოქმედი ტუტორიუმის პროგრამა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ტუტორებმა ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებაზე ტუტორიუმის პროგრამის ფარგლებში და იმსჯელეს ტუტორად ყოფნის დადებით და უარყოფით მხარეებზე. თსუ ახალგაზრდული ცენტრის წევრები აქტიურად ჩაერთვებიან ტუტორიუმის პროგრამაში, რომლის მიზანია ინდივიდუალური და ჯგუფური მხარდაჭერა სტუდენტებისათვის. ტუტორები სტუდენტებს დაეხმარებიან აკადემიური წარმატების მიღწევასა და სასწავლო გამოწვევების დაძლევაში.
- 4) თსუ ახალგაზრდული ცენტრის წევრმა ეთნიკურად აზარბაიჯანელმა და სომეხმა სტუდენტებმა გამართეს ერთობლივი კულტურული ღონისძიება - ”ჩვენი გალაკტიონი”. მათ წარმოადგინეს გალაკტიონისა და მისი მეუღლის მიმოწერა და პოეტის ლექსები წაიკითხეს.



- 5) შეხვედრა მოწვეულ სტუმართან - ირაკლი ტაბლიაშვილთან. შეხვედრაზე სტუმარმა ისაუბრა თემაზე “მასმედიის გავლენა საზოგადოებაზე”.
- 6) თსუ ახალგაზრდული ცენტრის წევრები შეხვდნენ ქართველ კინორეჟისორ გიორგი ოვაშვილს და ისაუბრეს მის ფილმებზე: “სიმიინდის კუნძული” და “გაღმა ნაპირი”. ორივე ფილმში ასახულია ეთნიკური კონფლიქტი.
- 7) განათლების ქვე-კლუბის წევრებმა გამართეს შეხვედრა მზრუნველობამოკლებულ ბავშვებთან. შეხვედრის მიზანი იყო ბენეფიციარების ცნობიერების ამაღლება განათლების მიღების მნიშვნელობაზე, საზოგადოებაში ინტეგრაციისა და საქართველოში განათლების მიღების შესაძლებლობების შესახებ.
- 8) კამპანია “ჩვენც მოვხუცდებით” ორგანიზებულ იქნა თსუ ახალგაზრდული ცენტრის წევრების მიერ. კამპანიის ფარგლებში სტუდენტები ესტუმრნენ თბილისის მოხუცთა თავშესაფარს და მათთან ერთად აღნიშნეს დამდეგი შობა-ახალი წლის დღესასწაული.
- 9) თსუ ახალგაზრდულმა ცენტრმა უმასპინძლა პარტნიორებს გორიდან. კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრმა გორელ ფოტოგრაფთა კლუბთან ერთად გამართა პროექტის „გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კვირეული“ -ს დასკვნითი ღონისძიება. ღონისძიების თემასთან დაკავშირებით გორის სამოქალაქო აქტივიზმის ცენტრის მოხალისეებმა მოაწყვეს ფოტოგამოფენა და პერფორმანსი ლოზუნგით - „არა ძალადობას“.

თსუ ახალგაზრდული ცენტრის fb გვერდი
www.facebook.com/tsuyouthcenter/



მიმდინარე სამუშაო და სამომავლო გეგმები

#1

პროექტის სათაური: " ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამა საქართველოში " (PITA)

დონორი: UNAG; USAID

ლოკაცია : თბილისი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი

თარიღი: ივნისი 2015 - მაისი 2020

პარტნიორები: 11 ა/ო; 14 ახალგაზრდული ცენტრი საქართველოს 13 ქალაქში

მიზანი

- ეთნიკურ უმცირესობებსა და საქართველოს მთავრობას შორის ინტერაქციის ხელშეწყობა
- სხვადასხვა ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფის წარმომადგენელი ახალგაზრდების სამოქალაქო ჩართულობისა და ინტეგრაციის გაზრდა
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება საქართველოში არსებულ მრავალფეროვან გარემოზე.

კომპონენტი 1: სტრატეგიული და ადმინისტრაციული ინსტრუმენტების შექმნა:

1. სამოქმედო გეგმის შემუშავება უნივერსიტეტებში სტუდენტთა მხარდასაჭერად.
2. სტუდენტთა საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზება.
3. თსუ-ში ტუტორიუმის პროგრამის ამოქმედება.
4. მონაცემთა ბაზის შექმნა სტუდენტებისთვის თბილისში საცხოვრებელ ბინებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობისთვის.
5. სტუდენტთა მიღების/მოზიდვის სამოქმედო გეგმის შემუშავება.
6. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების გაწევისა და მათი კარიერული განვითარების სტრატეგიის შემუშავება.
7. უნივერსიტეტებს შორის, სადაც ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამა ხორციელდება, ურთიერთთანამშრომლობის პლატფორმის შექმნა.
8. მუდლის პლატფორმისა და ელექტრონული რესურსების შექმნა ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამისთვის.

კომპონენტი 2: კვლევა და განვითარება:

1. საშეღავათო პოლიტიკის კვლევა 2017 -სა და 2019-20-ში.
2. სტუდენტთა დამოკიდებულებების კვლევა ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამისადმი 2016 წელს.
3. კვოტირების სისტემით ჩარიცხულ ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტთა საჭიროებების შესწავლა, 2016 წელს.
4. ამ სტუდენტთა შემდგომი დასაქმებისა და მათი კარიერული განვითარების შესაძლებლობებისა და პერსპექტივების შესწავლა.
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შრომითი ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესწავლა ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში.

CCIIR-ის აქტივობები
PITA-ს პროგრამის
ფარგლებში

კომპონენტი 3: პროგრამის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარება შესაბამისი ტრენინგებისა და ვორქშოპების ორგანიზების გზით (თსუ -ში, ილიას უნივერსიტეტში, თბილისის ტექნიკურ და სამედიცინო უნივერსიტეტებსა და სამცხე-ჯავახეთის სასწავლო უნივერსიტეტში).

კომპონენტი 4: ახალგაზრდული კომპონენტი –

თსუ - ში, ქართულ ენაში მომზადების ერთწლიან პროგრამაზე ახალგაზრდული ცენტრის დაარსება.

პროექტის სათაური: “ მულტილინგვურ მასწავლებელთა მომზადების პროგრამების შექმნა და დანერგვა საქართველოსა და უკრაინის უნივერსიტეტებში ” DIMTEGU

დონორი: ევროკავშირის ტემპუსის პროგრამა

ლოკაცია: საქართველო და უკრაინა

თარიღი: 2013/16

პარტნიორები: ოლეს ჰონჩარის სახელობის დნეპროპეტროვსკის ეროვნული უნივერსიტეტი, ივან ფრანკოს სახ. ლვოვის ეროვნული უნივერსიტეტი, ყირიმის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ფრაიბურგის პედაგოგიური უნივერსიტეტი, ფრანკფურტის გოეთეს სახ. უნივერსიტეტი, ლატვიის უნივერსიტეტი, ვილნიუსის უნივერსიტეტი, თსუ, ილიაუნი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მიზანი: საქართველოსა და უკრაინაში მულტილინგვური განათლების რეფორმის ხელშეწყობა

პროექტის ამოცანები:

- საქართველოსა და უკრაინის აკადემიური პერსონალის მომზადება მულტილინგვური განათლების სამაგისტრო პროგრამაში თანამედროვე პედაგოგიური მეთოდების გამოყენებაში.
- საქართველოსა და უკრაინის უსდ-ის მომზადება მულტილინგვური განათლების სამაგისტრო პროგრამისა და მოქმედ პედაგოგთა სერტიფიცირებული პროგრამის ჩასატარებლად.
- ბოლონიის პროცესთან შესაბამისობაში მყოფი თანამედროვე ჩაჩო კურიკულუმისა და სილაბუსების შექმნა მულტილინგვური განათლების მაგისტრატურისა და მოქმედ პედაგოგთა სასერტიფიკატო პროგრამისთვის საქართველოსა და უკრაინაში.
- საქართველოსა და უკრაინის საჯარო სკოლების უზრუნველყოფა კვალიფიციური პედაგოგებითა და სასწავლო მასალებით, რათა მიეცეთ საშუალება შეხვდნენ გლობალიზაციისა და ადგილობრივი საზოგადოების გამოწვევებს.
- საქართველოსა და უკრაინის უნივერსიტეტების აღჭურვა საკმარისი რაოდენობის თანამედროვე სასწავლო მასალებითა და ტექნიკით.

პროექტის შედეგები

მასწავლებელთა მულტილინგვური და საერთაშორისო განათლების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის ჩარჩო კურიკულუმი

მასწავლებელთა მულტილინგვური და საერთაშორისო განათლების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის კურსები, სილაბუსები, სასწავლო მასალები

Moodle-ის პლატფორმა მასწავლებელთა მულტილინგვური და საერთაშორისო განათლების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისთვის

საქართველოსა და უკრაინაში 60 გადამზადებული აკადემიური პერსონალი, რომელიც მზადაა თანამედროვე სილაბუსების შესაქმნელად და საკლასო ოთახში თანამედროვე სწავლების მეთოდების გამოყენებისათვის

პროექტის ელექტრონული გვერდი

ქართულ და უკრაინულ ენაზე ნათარგმნი 20 სახელმძღვანელო მულტილინგვური და საერთაშორისო განათლების შესახებ. თითოეულ ენაზე დაიბეჭდება 200 ეგზემპლარი

სამიზნე უნივერსიტეტებში კომპიუტერებითა და თანამედროვე სასწავლო მასალებით აღჭურვილი ბიბლიოთეკები მასწავლებელთა მულტილინგვური და საერთაშორისო განათლების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ეფექტური განხორციელებისათვის

ელექტრონული საერთაშორისო ჟურნალის „ბილინგვური განათლება“ 6 ნომერი - განთავსებული ელექტრონულ გვერდზე ქართულ, უკრაინულ და ინგლისურ ენებზე

CCIIR-ი მადლიერია დონორებისა და პარტნიორების,
მათი ნდობისა და ფინანსური მხარდაჭერისათვის

მეტი ინფორმაცია

სამოქალაქო ინტერგაციისა და
ეროვნებათშორისი ურთიერთობების
ცენტრი CCIIR
თბილისი, 8/90 მცხეთის ქუჩა
ტელ: (+995 032) 2922595
ელ.ფოსტა: info@cciir.ge
ვებგვერდი: www.cciir.ge
www.facebook.com/CCIIR
www.reading.ge
www.ganatileba.ge
www.multilinguaeducation.org
www.cciir.blogspot.com

